აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 3

30 დეკემბერი 2011 წელი ქ. ბათუმი

სხდომას თავმჯდომარეობდა: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, ასლან ჩავლეიშვილი და მალხაზ კალანდაძე.

სხდომას არ ესწრებოდა: თამარ ხოზრევანიძე და გია გარსევანიშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

1. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით უსკო-ზე დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად, უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნას 2012 წლის მიმდინარე ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა) კვარტლების მიხედვით ისევე როგორც ადმინისტრაციის დაფინანსების

ხარჯები ასევე აჭარის ა. რ. უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების ჩატარებისათვის გამოყოფილი ხარჯები. რის შემდეგაც სიტყვა გადასცა უსკოს ეკონომიკური სამსახურის უფროსს ლევან სამნიძეს კომისიისათვის დეტალურად გაეცნო უსკოს 2012 წლის ხარჯთაღრიცვა.

ეკონომიკური სამსახურის უფროსმა ლევან სამნიძემ კომისიას დეტალურად გააცნო და მოახსენა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო უსკოს 2012 წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია